ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

პრესრელიზი

2016 წლის 11 აპრილს 12:00 საათზე საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ მიგრანტ სტუდენტებს **ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“** სამთვიანი სწავლების კურსის წარმატებით დასრულებისათვის 48 შრომით და ეკოლოგიურ მიგრანტს სერთიფიკატებს გადასცემს.

ბენეფიციარებმა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსი (სასწავლო გრანტი) პროექტ „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში გაიარეს, რომელსაც **„ინტელექტი“** ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ასევე 11 აპრილიდან საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში'' კონდიტერის სპეციალობის მოსამზადებელ კურსზე სწავლას დაიწყებს 16 ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტი.

პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული, პოტენციური და ეკომიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

მისამართი: ქობულეთი, რუსთაველის N154.

საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:</u>

ტელ: (0422) 241640, 241650; 599 000 664

ელ. ფოსტა: saloabuladze@intellect.org.ge

საკონტაქტო პირი: სალომე აბულაძე